

## თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის №3/3646-11 გადაწყვეტილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2011 წლის 31 ოქტომბერს საქმეზე, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (მოსარჩელე მხარე; შემდგომში - ინსტიტუტი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (მოპასუხე მხარე; შემდგომში - სამინისტრო) წინააღმდეგ, გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელის განცხადება არ დაკმაყოფილდა (საქმე №3/3646-11).

**მოსარჩელის მოთხოვნა:** ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

**საქმის მოკლე არსი:** 2011 წლის 02 მაისს ინსტიტუტმა მიმართა სამინისტროს №20110529; №20110530; №20110531 და №20110532 წერილებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა [სახელი და გვარი] და თანამდებობის სახელწოდება);
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული კულტურული და სარეკლამო ხასიათის ღონისძიებათა ამომწურავი ჩამონათვალი (სია);
3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამდებობის პირთა (ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეთა) ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო, ვიზიტებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე;

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი (მათ შორის საწვავის ტიპი) 2011 წლის პირველი კვარტალის (სამი თვე) განმავლობაში;
10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2011 წლის პირველ კვარტალის (სამი თვე) განმავლობაში;
11. წინამდებარე განცხადების მიღების მომენტისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და თითოეულის საბაზრო ღირებულება;
12. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
13. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია;
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი);

15. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს **ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე** 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
16. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს **სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე** 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
17. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს **(ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე** 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
18. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს **სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე** 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).

სამინისტრომ აღნიშნულ მოთხოვნაზე არ განახორციელა რეაგირება და ინსტიტუტს არ მიაწოდა საჭარო ინფორმაცია.<sup>1</sup> ინსტიტუტმა გამოიყენა საქართველოს კანონდმებლობით მინიჭებული უფლებამოსილება და სამინისტროში შეიტანა

---

<sup>1</sup> აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ როგორც სამინისტრო, ასევე სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში. იხ. თანდართული გადაწყვეტილების გვერდი 4, პუნქტი 3.1.2.

ადმინისტრაციული საჩივარი.<sup>2</sup> ადმინისტრაციული საჩივარი სამინისტროში ასევე არ იქნა განხილული.<sup>3</sup> აღნიშნულის შემდეგ, ინსტიტუტმა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში (2011 წლის 02 აგვისტოს) და მოპასუხე მხარედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დაასახელა. მოსარჩელე მხარე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის<sup>4</sup> საფუძველზე ითხოვდა შემდეგს: საჯარო დაწესებულებისთვის (მოპასუხისთვის) ქმედების განხორციელების დავალდებულება.

სიტყვაში - **ქმედების განხორციელების დავალდებულება**, იგულისხმებოდა რეალაქტისა<sup>5</sup> და არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის<sup>6</sup> გამოცემა.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში<sup>7</sup> ადამიანის ძირითადი უფლება, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური პირის სახელმწიფოსგან დამცავი უფლებაა.<sup>8</sup> იმისთვის, რომ პირი დაცული

<sup>2</sup> იხ. <http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/news/topic/191>

<sup>3</sup> იხ. თანდართული სასამართლო გადაწყვეტილების გვერდი 4, პუნქტი 3.1.3.

<sup>4</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი:  
*სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.*

<sup>5</sup> **რეალაქტი** - ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლის ან შეწყვეტისკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისკენ; *ტურავა პ., სხირტლაძე ნ., კობალეიშვილი მ., ქარდავა ე.*, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 283.

<sup>6</sup> სზაკ-ის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი:  
*ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი* –ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები

<sup>7</sup> დემოკრატიული რესპუბლიკაა სწორედ საქართველოს პოლიტიკური მოწყობის ფორმა. იხ. საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტი:

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.
2. **საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.**
3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა "საქართველო".

იყოს სახელმწიფოსგან, აუცილებელია არსებობდეს ნდობა საჯარო სექტორსა და მოქალაქეებს შორის. შესაბამისად, დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის „სასიცოცხლოდ აუცილებელია, საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს სახელისუფლებო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე.“<sup>9</sup> აღნიშნული ქმედება შეიძლება მეორე კუთხითაც იქნეს განხილული, როგორც ხელისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საშუალება.<sup>10</sup> თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რაც სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უპირველეს წინაპირობას წარმოადგენს.<sup>11</sup> საჯარო ინფორმაციის მიღება სჭირდება იმ ხალხს, რომელთაც არაოფიციალური წყაროებიდან და არაფორმალური არხებით მისი მოპოვება არ შეუძლია.<sup>12</sup> აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი ასპექტი: **საჯარო დაწესებულების ანგარიშვალდებულება მოქალაქეთა მიმართ და საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობა.**

საჯარო ინფორმაცია თავის მხრივ ორ ძირითად სახედ იყოფა: ღია და დახურულ (საიდუმლო) საჯარო ინფორმაციად.<sup>13</sup> ღიაა ყველა ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს პერსონალური, კომერციული ან/და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს; ხოლო დახურული ტიპის ინფორმაციად ყველა ის ინფორმაცია ითვლება, რომლის გამჟღავნებამაც შესაძლებელია პრობლემა შეუქმნას როგორც კონკრეტულ პირს, ისე სახელმწიფოს.

კანონით გათვალისწინებულია დახურული ინფორმაციის სახეები. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - სზაკ) მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილი რამდენიმე შემთხვევაზე მიუთითებს, რომლის სახეზე არსებობის შემთხვევაში საჯარო დაწესებულებაზე არ ვრცელდება ამავე კოდექსის III თავით გაწერილი მავალდებულებელი ნორმები.<sup>14</sup> ინსტიტუტის მიერ სამინისტროსთვის

<sup>8</sup> კუბლაშვილი კ., დემეტრაშვილი ა., კვაჭაძე მ., ლოსაბერიძე დ., რუხაძე ზ., ხმალაძე ვ., ჯიბლაშვილი ზ., კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 102.

<sup>9</sup> ადეიშვილი ზ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 265.

<sup>10</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 97.

<sup>11</sup> ამგვარი თეორიის განხილვის ფონზე აღმაშფოთებელია საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულებები ან არ გასცემენ საერთოდ საჯარო ინფორმაციას მის მომთხოვნზე, ან არ იცავენ საქართველოს კანონმდებლობით გაწერილ ვადებს. შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, მისი მომთხოვნისთვის აბსოლუტურად კარგავს აქტუალურობას. იხ. იქვე, 242.

<sup>12</sup> ადეიშვილი ზ., ფროსტი ა., წველაძე ნ., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი (მესამე გამოცემა), თბილისი, 2005, 22.

<sup>13</sup> იქვე, 23.

<sup>14</sup> სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილი:

4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

მიმართული მოთხოვნიდან არცერთი კითხვა არ წარმოადგენდა საიდუმლოების შემცველ მონაცემებს.<sup>15</sup> თავის მხრივ, საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო საჯარო ინფორმაციის მომთხოვნისთვის გაეცა იგი დაუყოვნებლივ,<sup>16</sup> ან 10 დღის ვადაში, თუ სახეზე იქნებოდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევა.<sup>17</sup> ამასთან, სამინისტრო ვალდებული იყო, ინსტიტუტისთვის ეცნობებინა იმის შესახებ, თუ ინფორმაციის დამუშავება საჭიროებდა გარკვეულ პერიოდს,<sup>18</sup> რაც მათ მხრიდან ასევე არ იქნა განხორციელებულა.

---

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულსამძებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

გ<sup>1</sup>) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან;

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

5. ამ კოდექსის III თავის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან/და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად.

<sup>15</sup> აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო მოსაზრება არც მოპასუხე მხარეს გააჩნია, სხვა შემთხვევაში აღნიშნავდა სასამართლოში საქმის განხილვისას.

<sup>16</sup> სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილი: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ“.

<sup>17</sup> სზაკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტები:

*საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:*

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

<sup>18</sup> იხ. სზაკ-ის მე-40 მუხლის მეორე ნაწილი.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ასევე იმგვარ შემთხვევებს, როდესაც საჯარო დაწესებულება უარს ამბობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.<sup>19</sup> ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მის მომთხოვნს ასევე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს, რაც მოპასუხე მხარემ ასევე არ განახორციელა.

შესაბამისად, სამინისტრომ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულება<sup>20</sup> და არ გასცა ინფორმაცია მის მომთხოვნზე. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ინსტიტუტმა სასამართლოს მიმართა საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით. სასამართლომ წარმოებაში მიიღო საქმე და დანიშნა მთავარი სხდომა, რომელიც ცალკე განხილვის საგანია.

**მთავარი სხდომა:** საქმეს განიხილავდა მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი.<sup>21</sup> მიუხედავად იმისა, რომ თითოეული საპროცესო საკითხი ერთ სხდომაში იქნა განხილული,<sup>22</sup> მოსამართლის მიერ გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მთავარი სხდომიდან 10 დღეში. მისივე განმარტებით, საქმის სირთულიდან გამომდინარე.

როგორც სხდომის ოქმიდან<sup>23</sup> ჩანს, მოსამართლე სამართლებრივად არსებითი მნიშვნელობის მქონე შეკითხვებით მხოლოდ მოსარჩელე მხარეს მიმართავს,<sup>24</sup> მოპასუხე მხარეს კი მხოლოდ ერთ კითხვას უსვამს, თუ რა ვადაში შეძლებენ ისინი მიაწოდონ ინსტიტუტს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. მას შემდეგ, რაც მოპასუხე მხარე ინფორმაციის გაცემისთვის 10 დღიან ვადას ითხოვს,<sup>25</sup> მოსამართლე 2011 წლის 20

<sup>19</sup> სზაკ-ის 41-ე მუხლი:

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

<sup>20</sup> შეად. ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., წველპაძე ნ., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კობალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი (მესამე გამოცემა), თბილისი, 2005, 35.

<sup>21</sup> იხ. <http://tcc.gov.ge/index.php?m=501&newsid=185>

<sup>22</sup> ასევე, საქმის არსებითად განხილვამდე არ იქნა დანიშნული მოსამზადებელი სხდომა.

<sup>23</sup> იხილეთ თანდართული დოკუმენტი, აუდიო ჩანაწერის სახით.

<sup>24</sup> მაგალითად ეკითხება, თუ მოქმედი კანონმდებლობიდან რომელი ნორმა ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას, შექმნას ახალი დოკუმენტი საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით.

<sup>25</sup> ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მოპასუხე მხარე 10 დღიან ვადას ითხოვს 2011 წლის 20 ოქტომბერს. ამავე დაწესებულებაში მოთხოვნა, საჯარო ინფორმაციის მიღების თაობაზე შესულ იქნა 2011 წლის 02 მაისს! მათ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული, რომ პასუხი დაუყოვნებლივ გაეცათ. ნაცვლად აღნიშნულისა, **ხუთთვენახევრის** შემდეგ დაწესებულება შუამდგომლობას აყენებს სასამართლო პროცესზე და დამატებით 10 დღეს ითხოვს. სასამართლო თავის მხრივ, აბსოლუტურად ეთანხმება მოპასუხეს და მოთხოვნილ 10 დღეს ჩვეულებრივ ფორმალურად მიიჩნევს. შედეგად, შუამდგომლობა კმაყოფილდება.



ოქტომბერს იღებს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება 2011 წლის 31 ოქტომბერს გამოცხადდება. ამასთან, მოსამართლე მხარეს თხოვნით მიმართავს, რომ ამ ვადაში ინსტიტუტს მიაწოდოს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

შედეგად, 2011 წლის 24 ოქტომბერს, მოსარჩელეს მიეწოდა დაწესებულების მხრიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნაწილი.<sup>26</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი აღნიშნული პასუხი დამაკმაყოფილებლად გაცემულ საჯარო ინფორმაციად ჩაითვალა და ინსტიტუტის სარჩელი უსაფუძვლოდ გამო არ დაკმაყოფილდა.

**სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი:** სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გასცეს ინფორმაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ქმედების განხორციელება ნორმატიული აქტითაა განსაზღვრული.<sup>27</sup> ადმინისტრაციული ორგანო ასევე ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, თუ იგი საჭიროებს „მონაცემების დამუშავებას“.<sup>28</sup>

გადაწყვეტილების შინაარსს თუ მივყვებით, შევამჩნევთ, რომ სასამართლო იზიარებს სზაკ-ით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ვალდებულების წარმომშობ ნორმას,<sup>29</sup> მაგრამ იქვე განმარტავს, რომ ინფორმაციის დამუშავება უნდა გაიმიჯნოს ახალი დოკუმენტის შექმნისგან.

სასამართლო, მონაცემების დამუშავებას კიდევ უფრო აკონკრეტებს და გამოყოფს სამ ძირითად სახეს: „დოკუმენტაციის (ინფორმაციის) მოძიება, შესწავლა და სისტემატიზაცია“.<sup>30</sup> ამასთან, იქვე აღნიშნავს, რომ თითოეული მათგანი მხოლოდ „უბრალო, მექანიკური თავმოყრის სახით“<sup>31</sup> უნდა იქნეს დამუშავებული. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) დოკუმენტაციის (ინფორმაციის) **მოძიება** - ეს არის ქმედება, როდესაც საჯარო ინფორმაციის გაცემა მისი მოცულობის გათვალისწინებით დაუყოვნებლივ არ ხერხდება და იგი რამდენიმე დღეს შეიძლება გაგრძელდეს;<sup>32</sup>

ბ) დოკუმენტაციის (ინფორმაციის) **შესწავლა** - ასევე არის ქმედება, როდესაც მოცულობის გათვალისწინებით, საჭიროა რამდენიმე დღე ინფორმაციის გაცემისთვის;<sup>33</sup>

<sup>26</sup> იხ. თანდართული დოკუმენტი.

<sup>27</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილების მე-6 და მე-7 გვერდები; პუნქტები 5.2.1, 5.3.2 და 6.2.

<sup>28</sup> სიტყვა - **მონაცემების დამუშავება**, სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავება.

<sup>29</sup> იხ. სქოლიო №17.

<sup>30</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილების პუნქტი 6.2.

<sup>31</sup> იხ. იქვე.

<sup>32</sup> *წიგნაძე ნ., ტურავა პ.*, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 161.

გ) დოკუმენტაციის (ინფორმაციის) **სისტემატიზაცია** - ქმედება, როდესაც სხვადასხვა ტერიტორიულ ადგილას, ან/და მოცულობითი რაოდენობის დოკუმენტების გათვალისწინებით, საჭიროა ერთმანეთთან დაუკავშირებელი მონაცემების სისტემატიზირება და შემდგომ საჯარო ინფორმაციის სახით მათი გაცემა, რისთვისაც ასევე რამდენიმე დღე არის საჭირო.<sup>34</sup>

სასამართლო ამით ირიბად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ არ განახორციელა მასზე დაკისრებული ვალდებულება და ინსტიტუტს არ მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია, დამუშავებული სახით, 10 დღიან ვადაში.

სასამართლო, თავის გადაწყვეტილებაში, საჯარო დაწესებულების მხრიდან ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხს ითვალისწინებს. მას მიაჩნია, რომ თუ სახეზე იქნება საჯარო ინფორმაციის ისეთი სახის მოთხოვნა, რომელიც *„ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტაციის [...] ლოგიკური სინთეზის მეშვეობით ახალი დოკუმენტის შექმნას“*<sup>35</sup> საჭიროებს, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს უფლებამოსილება, უარი თქვას ინფორმაციის გაცემაზე.

საინტერესოა თუ რა იგულისხმება სიტყვაში - **დოკუმენტაციის ლოგიკური სინთეზი**. თუ საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტაციის სისტემატიზაცია მოახდინოს, მაშინ რა განსხვავებაა აღნიშნულ ქმედებასა და ე.წ. ლოგიკურ სინთეზს შორის? ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიება და შემდგომ დამუშავება არის თუ არა მათი ლოგიკური სინთეზი? სასამართლო ამ საკითხზე ყურადღებას საერთოდ არ ამახვილებს და მიიჩნევს, რომ ინფორმაციის დამუშავებით ახალი დოკუმენტის შექმნა წარმოუდგენელია.

რთულია დაეთანხმო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას რამოდენიმე მიზეზის გამო: საჯარო დაწესებულებაში შეუძლებელია არ არსებობდეს ის ინფორმაცია, რაც უშუალოდ მის საქმიანობას ეხება. ამასთან, თუ პირი ისეთი სახის ინფორმაციას ითხოვს, რომელიც დაწესებულებაში დაცული საერთოდ არ არის, ამის შესახებ ადმინისტრაციულმა ორგანომ საჯარო ინფორმაციის მოძიებაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს (თუ ორგანოს ამ მიზეზით უარს ამბობს ინფორმაციის გაცემაზე).<sup>36</sup>

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილების პუნქტი 6.2.

<sup>36</sup> *წიკობაძე ნ., ტურავა პ.*, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 161.

სასამართლოს მოსაზრებით, თუ საჯარო დაწესებულებას არ გააჩნია მზა სახით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, მან უნდა დაამუშაოს იგი,<sup>37</sup> მაგრამ არ უნდა შექმნას ახალი დოკუმენტი.<sup>38</sup>

აბსოლუტურად განცალკევებით უნდა იქნეს განხილული სასამართლო გადაწყვეტილების 6.4 პუნქტი.<sup>39</sup> სასამართლო შემაჯამებელი სახით სწორედ აღნიშნულ პუნქტში საუბრობს და განმარტავს, რომ: „მოსარჩელის მიერ ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა ისეთი სახით, რაც გულისხმობდა მოპასუხის მიერ მზა სახით არარსებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას და მოძიებული მონაცემების სინთეზის გზით ახალი დოკუმენტების შექმნას“.<sup>40</sup> ჩვენის აზრით, სასამართლოს მსჯელობა ასევე ვერ უძლებს კრიტიკას შემდეგი მიზეზის გამო: მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (რეკვიზიტებზე მითითებით) შესახებ დოკუმენტები არ წარმოადგენს ინფორმაციის ისეთ სახეს, რომლითაც ლოგიკური სინთეზი იქნება საჭირო, ახალი დოკუმენტის შესაქმნელად. თითოეული საჯარო დაწესებულებამ უნდა აღრიცხოს ყველა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, მათ მიერ უკვე გაცემული საჯარო ინფორმაცია უკვე შექმნილი ახალი დოკუმენტია და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე გასცეს იგი.<sup>41</sup>

სასამართლო გადაწყვეტილების 6.4 პუნქტს თუ გავყვებით შევამჩნევთ, რომ საუბარია ინფორმაციის დამუშავების დასაბუთებაზე, სამინისტროს მიერ თავისი ფუნქციის შესრულებისთვის. სასამართლოს ავიწყდება (ან გვერდს უვლის) სზაკ-ით მოწესრიგებული ქვევის წესი, რომლის თანახმადაც, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი არ არის ვალდებული დაასაბუთოს საჯარო ინფორმაციის მიღების მოტივი ან მიზანი.<sup>42</sup>

<sup>37</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილების პუნქტი 6.3.

<sup>38</sup> ე.წ. ლოგიკური სინთეზის საფუძველზე.

<sup>39</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილება გვ. 8.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> სამინისტროს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ანგარიშები ერთ-ერთია იმ შეკითხვებიდან, რომლითაც ინსტიტუტმა მიმართა მას. მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებისა, ასევე მას მერე რაც ინსტიტუტმა სამინისტროში შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი, ხოლო შემდგომ მიმართა სასამართლოს სარჩელით, სამინისტროს მხრიდან ეს მოთხოვნილი ინფორმაცია კვლავაც არ იქნა დაკმაყოფილებული. ხოლო სასამართლომ აღნიშნული კანონის დაცვად ჩათვალა და არ დააკისრა საჯარო დაწესებულებას ქმედების განხორციელება.

<sup>42</sup> სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი - **საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა:**

საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში **აუცილებელი არ არის მითითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.** სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

სასამართლო კიდევ უფრო უღრმავდება საკითხს და თავის გადაწყვეტილებას ისეთი ნორმატიული აქტის არარსებობით ასაბუთებს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი დოკუმენტის შექმნას<sup>43</sup> დაავალდებულებს.<sup>44</sup> ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს გადაეცა ფაქტობრივი სახით მოთხოვნილი ინფორმაცია და ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს სრულყოფილად გაცემულ დოკუმენტად.

გადაწყვეტილების მიხედვით, ის საკითხები, რაზეც საჯარო დაწესებულებამ არ გასცა ინფორმაცია ახალი დოკუმენტის შექმნას ითვალისწინებდა. მაგალითად, **ინფორმაცია სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ**. იბადება კითხვა, თუ რა სახის ახალი დოკუმენტი უნდა შეიქმნას, თუ საქმე გვექნება უძრავი ქონების ჩამონათვალთან (საბაზრო ღირებულების მითითებით)? სასამართლოს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

სასამართლო ითვალისწინებს მოპასუხე მხარის შუამდგომლობას მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სამინისტროს ვებ-გვერდზე მოძიების თაობაზე. საინტერესოა, თუ რატომ არ იღებს მხედველობაში სასამართლო სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით<sup>45</sup> განსაზღვრულ საკითხს და კანონზე მაღლა რატომ აყენებს სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრებას?<sup>46</sup> თუ კანონი საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის შესაძლებლობას საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს ანიჭებს, რის საფუძველზე უნდა გააჩნდეს სამინისტროს წარმომადგენელს მასზე დიდი ავტორიტეტი? სასამართლო გადაწყვეტილებით თუ ვიმსჯელებთ, ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას ეძლევა შესაძლებლობა, პირს უარი უთხრას ინფორმაციის გაცემაზე და ეს ფაქტი ინფორმაციის არქონით/ახალი დოკუმენტის შექმნით ან/და ვებ-გვერდზე გადამისამართებით ახსნას.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქალაქის და ხელისუფლების ინტერაქტივი, ისევე როგორც საჯარო დაწესებულების საქმიანობის და ხარჯების გამჭვირვალობა და შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშვალდებულების გათავისება და შესრულება, არის ის ძირეული პრინციპები, რაზეც დგას დემოკრატიული წყობა.<sup>47</sup> სხვა შემთხვევაში წარმოიქმნება ვაკუუმი და ნებისმიერ პირს შეეზღუდება კონსტიტუციით მინიჭებული უფლება. უფლების შეზღუდვა პირდაპირ კავშირშია როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის მიყენებასთან, რომლის ანაზღაურებაც

<sup>43</sup> გასათვალისწინებელია, რომ ინსტიტუტი არ ითხოვდა ახალი დოკუმენტის შექმნას.

<sup>44</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილება გვ. 8; 6.4 პუნქტი.

<sup>45</sup> სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი - **საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა:**

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და **აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს**, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

<sup>46</sup> მაშინ, როდესაც აღნიშნული მოსაზრებაც კანონის პირდაპირი დარღვევაა.

<sup>47</sup> *ცაცანაშვილი მ.*, ინფორმაციული სამართალი, თბილისი, 2004, 65.

შესაძლებელია სასამართლოს გზით. IDFI-ის ინფორმაციის არ მიწოდებით მიადგა არაქონებრივი ზიანი, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ თავდაპირველად ადმინისტრაციული საჩივრით, ხოლო, შემდგომ, სასამართლო სარჩელით ანაზღაურების სახით, სიმბოლური თანხა, 1 (ერთი) ლარის ანაზღაურება მოეთხოვა.<sup>48</sup>

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაციის არგაცემა ან/და არასწორი ინფორმაციის შემცველი ცნობა შეიძლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდეს.<sup>49</sup> სასამართლო მიუხედავად ამისა მიიჩნევს, რომ მოპასუხის ქმედებამ (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში - უმოქმედობას) ზიანის დადგომა არ გამოიწვია და ინსტიტუტს არ ეთქვა დასაბუთებული უარი, არამედ სრულყოფილად მიეწოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.<sup>50</sup>

სასამართლო მიიჩნევს, რომ სამინისტროს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კანონიერია, ხოლო მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ფაქტი საერთოდ არ დგინდება.<sup>51</sup>

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სამინისტროს არ უნდა დაევალოს ქმედების განხორციელება საჯარო ინფორმაციის გაცემის სახით და არ უნდა იქნეს ანაზღაურებული მოსარჩელე მხარისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანი 1(ერთი) ლარის ოდენობით.<sup>52</sup>

სასამართლოს გამორჩა ის ფაქტი, რომ სამინისტრომ მოთხოვნილი ინფორმაცია აბსოლუტურად არასრულყოფილი სახით გასცა. ამის დასტურად გამოდგება ის შემთხვევა, როდესაც მოპასუხე ნაცვლად სრულყოფილად გაცემული დოკუმენტაციისა, მხოლოდ და მხოლოდ ვებ-გვერდზე უთითებს მოსარჩელეს (არ დაგვავიწყდეს რომ სზაკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში“). იბადება კითხვა, თუ საჯარო ინფორმაციის ფორმის არჩევის შესაძლებლობა საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს აქვს, მაშინ რატომ არ შეუძლია მან მოითხოვოს მისი მიღება სრულყოფილი სახით და რატომ არ აქვს უფლება, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, თუ საჯარო დაწესებულებამ მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა? სზაკ-ის 47-ე

<sup>48</sup> IDFI მოქმედებდა რა პატრიოტულ მოტივებზე და ითვალისწინებდა რა იმას, რომ მოპასუხე მხარე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, მხოლოდ სიმბოლურად მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება (1 ლარის ოდენობით).

<sup>49</sup> კოპალეიშვილი მ., ლორია ვ., ლორია ა., წკეპლაძე ნ., ხარშილაძე ი., გიორგაძე გ., სალხინაშვილი მ., ჩქარეული ც., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004, 187.

<sup>50</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილების მე-8 გვერდი, პუნქტი 6.5.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> იხ. სასამართლო გადაწყვეტილების მე-8 გვერდი, სარეზოლუციო ნაწილი.

მუხლი მტკიცების ტვირთს უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს.<sup>53</sup> წინამდებარე სასამართლო დავის მთავარ სხდომაზე კი სამინისტრომ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მათი უმოქმედობით მოსარჩელე მხარეს არ მიაღწა არაქონებრივი ზიანი. ის ფაქტი, თუ რატომ არ მიაღწა ზიანი, საერთოდ არ უხსენებია (მტკიცების ტვირთის სახით) და მოსამართლესაც არ გასჩენია სურვილი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შესახებ დაესვა კითხვა.

ინფორმაციის მიღების უფლება საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის აღიარებული და ძირითადი უფლებაა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ამგვარი უფლებას ზოგიერთი საჯარო დაწესებულება საერთოდ არ აღიარებს, ხოლო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით მას ქმედების განხორციელების ვალდებულებაზე საერთოდ არ მიუთითებს. კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, *ბატონი კონსტანტინე კუბლაშვილის* მოსაზრების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს და ამით აბსოლუტურად აფერმკრთალებს მის მსჯელობას, რომლის თანახმადაც: „ადამიანის ძირითადი უფლებები პერსონალურ პრეტენზიას (მოთხოვნას) წარმოადგენს [...] ძირითადი უფლებები უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოსგან ადამიანის დამცავი უფლებაა [...] ძირითადი უფლებები ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას [...] ძირითადი უფლებები კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია“.<sup>54</sup>

მაშინ, როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხელისუფლებას აკისრია არაკანონიერი მოქმედებების აღკვეთის ვალდებულება,<sup>55</sup> ის თავად არ უნდა ახორციელებდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.<sup>56</sup> არაკანონიერი მოქმედების აღკვეთის

<sup>53</sup> სზაკ-ის 47-ე მუხლი - **გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა. ზიანის ანაზღაურება:**

1. პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

<sup>54</sup> *კუბლაშვილი კ., დემეტრაშვილი ა., კვაჭაძე მ., ლოსაბერიძე დ., რუხაძე ზ., ხმალაძე ვ., ჯიბლაშვილი ზ.*, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2005, 102.

<sup>55</sup> *იზორია ლ.*, თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, 62.

<sup>56</sup> წინამდებარე სასამართლო გადაწყვეტილების მაგალითზე: მოსარჩელემ მოპასუხეს წინააღმდეგ სასარჩელო განცხადება იმის გათვალისწინებით შეიტანა, რომ სამინისტრომ დაარღვია კანონი, ანუ მათ მიერ სახეზე იქნა გამოვლენილი არაკანონიერი ქმედება, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციის არგაცემაში გამოიხატა. ინფორმაციის არგაცემას (განსხვავებით ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისგან),

უფლებამოსილება სახელმწიფოს მხოლოდ სამართლით აქვს მინიჭებული<sup>57</sup> და სწორედ ყოველივე ამის საფუძველზე უნდა იყოს მისი თითოეული ნაბიჯი იმის ნიშნად, თუ როგორ შეიძლება იქნეს დაცული კანონით აღიარებული უფლებანი თუ ვალდებულებანი.

---

იურისპრუდენციაში ქმედებისგან თავის შეკავება, უმოქმედობა ჰქვია, რაც კანონმდებლობით აღიარებული **კანონიერი ნდობის** ინსტიტუტის არსებობისას აბსოლუტურად მიუღებელი მოქმედებაა.

<sup>57</sup> *იზორია ლ.*, თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, 62.